

ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება



- 1) ქვემოთ მოცემული ტოლობებიდან, რომელია მცდარი?
- 1) 1 კმ = 1000 მ      2) 3 დმ = 300 მმ      3) 1 ტ = 100 კგ      4) 100 წთ = 1 სთ 40 წთ
- 2) ქვემოთ მოცემული ტოლობებიდან, რამდენი იქნება ჭეშმარიტი (სწორი), თუ უჯრაში ჩაეწერთ 30-ს?
- 15 + 25 =        : 2 = 60      4 •  = 120
- 290 +  = 320       - 10 = 40
- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი
- 3) როგორ ჩაიწერება რიცხვი: სამას რვა ათას ოცდაშვიდი?
- 1) 38027      2) 30827      3) 30800027      4) 308027
- 4) რამდენი მილიმეტრია 2 დეციმეტრი და 9 სანტიმეტრი?
- 1) 29 მმ      2) 209 მმ      3) 290 მმ      4) 2900 მმ
- 5) ჩამოთვლილი ფიგურებიდან, რომელი არ არის სივრცითი ფიგურა?
- 1) კუბი      2) პირამიდა      3) კვადრატი      4) სფერო

ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება



- 6) 30-ზე ნაკლები რამდენი ორნიშნა ლუწი რიცხვი არსებობს, რომელიც უნაშთოდ იყოფა სამზე?
- 1) შვიდი      2) ექვსი      3) ოთხი      4) სამი
- 7) ქვემოთ მოცემული ტოლობებიდან, რამდენია არასწორი?
- 6 × 8 = 48      8 × 9 = 72      7 × 3 = 24      7 × 4 = 28
- 5 × 9 = 45      4 × 9 = 32      9 × 7 = 63      9 × 0 = 9
- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი
- 8) რა რიცხვზე უნდა გავყოთ 63, რომ მივიღოთ 36-ზე 4-ჯერ პატარა რიცხვი?
- 1) ცხრაზე      2) შვიდზე      3) ექვსზე      4) ოთხზე

9) საბას 40 ბურთი აქვს. აქედან 24 ჩოგბურთის, 7 ფეხბურთის, დანარჩენი კი კალათბურთის. რამდენით ნაკლებია საბას კალათბურთის ბურთების რაოდენობა, მისივე ჩოგბურთისა და ფეხბურთის ბურთების საერთო რაოდენობასთან შედარებით?

- 1) თხუთმეგით      2) ჩვიდმეგით      3) თორმეგით      4) ოცდამეერთით

10) საქათმეში თხუთმეტი დედალი და სამჯერ ნაკლები მამალია. რამდენჯერ მეტი დედალი იქნება საქათმეში, თუ დავამატებთ ხუთ დედალს და ხუთ მამალს?

- 1) ორჯერ      2) სამჯერ      3) ოთხჯერ      4) ხუთჯერ

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) ბაბუას საფულეში 58 ლარი ჰქონდა. მან შვილიშვილებს ჩურჩხელები უყიდა. თუ გავაორმაგებთ იმ თანხას, რომელიც ბაბუას ჩურჩხელების ყიდვის შემდეგ დარჩა, მივიღებთ 76 ლარს. რამდენი ლარი გადაუხდია ბაბუას ჩურჩხელებში?

- 1) 18 ლარი      2) 20 ლარი      3) 32 ლარი      4) 38 ლარი

12) რიგში თესავენ ჯერ ორ სტაფილოს, შემდეგ ერთ ბოლოკს, შემდეგ ისევ ორ სტაფილოს, შემდეგ ისევ ერთ ბოლოკს და ასე შემდეგ. ცნობილია, რომ ბოლოს დათესეს ბოლოკი. რამდენი ცალი ბოლოკი დაუთესავთ, თუ სტაფილო დათესეს 18 ცალი? (გაითვალისწინეთ, რომ პირველად დათესეს ორი სტაფილო).

- 1) 36 ცალი      2) 18 ცალი      3) 9 ცალი      4) 3 ცალი

13) გასართობ პარკში ცხენით გასეირნება 6 ლარი ღირს, ველოსიპედით კი – 4 ლარი. თეონამ ისეირნა ცხენით, მაიამ კი – ცხენითაც და ველოსიპედითაც. ამის შემდეგ მათ 14-14 ლარი დარჩათ. რამდენი ლარი ჰქონია თავდაპირველად, ორივე გოგონას ერთად?

- 1) 28 ლარი      2) 38 ლარი      3) 34 ლარი      4) 44 ლარი

14) ერთი კილოგრამი ალუჩა 2 ლარი ღირს, ხოლო ორი კილოგრამი მარწყვი – 12 ლარი. რამდენჯერ ძვირია ერთი კილოგრამი მარწყვი ერთ კილოგრამ ალუჩაზე?

- 1) ათჯერ      2) ექვსჯერ      3) ოთხჯერ      4) სამჯერ

15) სკოლის სასადილოში კარტოფილის 130 ღვეზელია, რაც 30-ით ნაკლებია ხორცის ღვეზელების რაოდენობაზე. სოკოს ღვეზელები კი 50-ით მეტია, ვიდრე ხორცის ვეზელები. სულ რამდენი ღვეზელია სკოლის სასადილოში?

- 1) 500      2) 380      3) 370      4) 250

ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) მაღაზიაში 120 კილოგრამი ვაშლი მიიტანეს. გამყიდველმა ვაშლის ნაწილი 9 თაროზე დააწყო, თითოეულზე – 7 კილოგრამი, დანარჩენის კი სარდაფში ჩაიტანა. რომელი გამოსახულების გამოთვლის შედეგად არის შესაძლებელი იმის გაგება, თუ რამდენი კილოგრამი ვაშლი ჩაიტანა გამყიდველმა სარდაფში?

- 1)  $120 + (9 \times 7) =$       2)  $120 - (9 + 7) =$       3)  $120 \times (9 \times 7) =$       4)  $120 - (9 \times 7) =$

17) მაღაზიაში 60 კილოგრამი კარტოფილია გასაყიდი. რამდენი კილოგრამი კარტოფილი უნდა გაიყიდოს, რომ გაყიდული, დარჩენილზე სამჯერ ნაკლები აღმოჩნდეს?

1) 15 კგ

2) 20 კგ

3) 12 კგ

4) 40 კგ

18) AB მონაკვეთი C წერტილით გაყოფილია შუაზე. AC მონაკვეთი კი D წერტილით არის გაყოფილი შუაზე. რას უდრის DB მონაკვეთის სიგრძე, თუ AB მონაკვეთის სიგრძე 4 სმ-ია?

1) 1 სმ

2) 2 სმ

3) 3 სმ

4) 4 სმ

19) კვადრატი, რომლის პერიმეტრი 60 სანტიმეტრი იყო, გაჭრეს სამ ერთნაირ მართკუთხედად. რას უდრის თითოეულის პერიმეტრი?

1) 20 სმ

2) 30 სმ

3) 40 სმ

4) 50 სმ

**ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება**



20) ერთ გალიაში 6 კურდღელია, მეორეში იმაზე ნაკლები ვიდრე პირველში, ხოლო მესამეში იმის ნახევარი, რაც პირველ და მეორე გალიებში ერთად. რამდენი კურდღელია მეორე გალიაში, თუ არცერთ გალიაში არ არის კენტი რაოდენობის კურდღელი?

1) 6

2) 4

3) 3

4) 2

21) მაგიდაზე ასანთის ღერებისგან ოთხი კვადრატი და რამდენიმე სამკუთხედი ისეა აწყობილი, რომ მათ საერთო გვერდები არ აქვთ. რამდენი სამკუთხედია მაგიდაზე, თუ ცნობილია, რომ ამ ასანთის ღერებით შესაძლებელია ხუთი ხუთკუთხედის აწყობა, რომლებსაც ასევე არ ექნებათ საერთო გვერდები? (გაითვალისწინეთ, რომ ხუთი ხუთკუთხედის აწყობის შემდეგ ასანთის ღერები აღარ დარჩება).

1) ერთი

2) ორი

3) სამი

4) ოთხი

22) V<sup>a</sup> კლასში 10 გოგონა და 10 ბიჭი იყო. ამ კლასიდან სხვა სკოლაში 5 მოსწავლე გადავიდა. სხვა სკოლიდან ამავე კლასში 3 გოგონა გადმოვიდა, რის შედეგადაც კლასში გოგონების და ბიჭების რაოდენობა გათანაბრდა. რამდენი გოგონა გადავიდა სხვა სკოლაში?


1) ერთი

2) ორი

3) სამი

4) ოთხი

23) მართკუთხედს მოაჭრეს 2 ერთნაირი სამკუთხედი ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. მოჭრილი სამკუთხედების ერთმანეთზე მიდგმით შესაძლებელია მივიღოთ კვადრატი, რომლის პერიმეტრი იქნება 36 სმ. რას უდრის ნახაზზე მოცემული ABCD მართკუთხედის პერიმეტრი?



1) 27 სმ

2) 36 სმ

3) 47 სმ

4) 54 სმ

**ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება**



24) მოსწავლეს ამოსახსნელად მისცეს 5 ორქულიანი, 5 სამქულიანი, 5 ოთხქულიანი და 5 ხუთქულიანი ამოცანა. მოსწავლემ ამოხსნა ყველა ორქულიანი და ყველა სამქულიანი ამოცანა, ხოლო ოთხქულიანი და ხუთქულიანი ამოცანებიდან ამოხსნა რომელიღაც 4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რამდენ ქულას ვერ მოაგროვებდა მოსწავლე?

1) 42 ქულას

2) 43 ქულას

3) 44 ქულას

4) 46 ქულას

25) თეფშებიანი სასწორის ერთ თეფშზე რამდენიმე თავგი დასვეს, ხოლო მეორე თეფშზე – რამდენიმე ზაზუნა. სასწორი გაწონასწორდა. ამის შემდეგ ოთხი თავგი ზაზუნების თეფშზე გადახტა, ხოლო ორი ზაზუნა თავგების თეფშზე გადახტა. სასწორი ისევ გაწონასწორდა. რას იწონის ერთი თავგი, თუ ერთი ზაზუნა 120 გრამს იწონის?

- 1) 40 გრამს      2) 60 გრამს      3) 100 გრამს      4) 120 გრამს

26) თუ მამის წლოვანებას მივუმატებთ უმცროსი შვილის წლოვანებას, მივიღებთ 71-ს, ხოლო თუ მამის წლოვანებას მივუმატებთ უფროსი შვილის წლოვანებას, მაშინ მივიღებთ 73-ს. რამდენი წლისაა მამა, თუ უმცროსი და უფროსი შვილების წლოვანებათა ჯამი მამის წლოვანების ტოლია?

- 1) 48 წლის      2) 49 წლის      3) 50 წლის      4) 51 წლის

27) მაია, მაკა და თაკო დები არიან. სამივეს წლოვანებათა ჯამია 22. რამდენი იქნება მაიას და მაკას წლოვანებათა ჯამი 7 წლის შემდეგ, თუ თაკო ახლა 7 წლისაა?

- 1) ოცდარე      2) ოცდაცხრა      3) ოცდათექვსმეტი      4) ამის გაგება შეუძლებელია

28) ოთხი მილიდან წყალი ერთნაირად მოდის. ოთხივე მილით ავზი ბოლომდე 1 საათში ივსება. რა დროში გაავსებს მხოლოდ 1 მილი ავზის ნახევარს?

- 1) 1 საათში      2) 2 საათში      3) 3 საათში      4) 4 საათში

29) ორ ოთახში სკამები აწყვია. თუ პირველ ოთახში ათ სკამს დაამატებენ, ხოლო მეორეში – შვიდს, მაშინ პირველ ოთახში ექვსი სკამით მეტი აღმოჩნდება, ვიდრე მეორეში. თუ პირველ ოთახში ხუთ სკამს დაამატებენ, მაშინ რამდენი სკამი უნდა დაამატონ მეორე ოთახში, იმისათვის რომ ოთახებში სკამების რაოდენობა გათანაბრდეს?

- 1) 8 სკამი      2) 11 სკამი      3) 3 სკამი      4) 2 სკამი

30) ნინოს აქვს საათი, რომელიც ყოველი 1 საათის გასვლის შემდეგ ნამდვილ დროს 4 წუთით ჩამორჩება. მან საათი დილის 8 საათზე გაასწორა. იმავე დღის საღამოს 9 საათზე ნინომ საათი 1 საათით წინ გადაწია. ამის შემდეგ, მინიმუმ რამდენი წუთი უნდა გავიდეს, რომ ნინოს საათმა ზუსტი დრო უჩვენოს?

- 1) 8 წუთის შემდეგ      2) 16 წუთის შემდეგ  
3) 120 წუთის შემდეგ      4) 240 წუთის შემდეგ

31) ქარხანა მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა. ერთი დღე ქარხანაში მუშაობისთვის მუშას 7 ლარს უხდიან, ხოლო თუ იგი გააცდენს სამუშაო დღეს, მას ხელფასიდან 3 ლარს აკლებენ. რამდენი ლარი უნდა გადაუხადონ მუშას ორი კვირის შემდეგ, თუ მან ამ ორი კვირის განმავლობაში 8 დღე იმუშავა?

- 1) 38 ლარი      2) 48 ლარი      3) 50 ლარი      4) 56 ლარი

32) გიგა ერთ წუთში ხუთ კაკალს ჭამს, ნინო კი სამ წუთში თერთმეტ კაკალს ჭამს. მამუკა ორ წუთში იმდენ კაკალს ჭამს, რამდენ კაკალსაც ექვს წუთში ჭამენ გიგა და ნინო ერთად. რამდენ კაკალს შეჭამს მამუკა წუთ-ნახევარში?

- 1) 26 კაკალს      2) 39 კაკალს      3) 52 კაკალს      4) 78 კაკალს